ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 153

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 აპრილის №125 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 აპრილის №125 განკარგულებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცეს საკუთრებაში: ქ. თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №23-ში მდებარე №01.17.13.045.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4141 კვმ მიწის ნაკვეთი, შემდგომში მისი პირდაპირი მიყიდვის ფორმით სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთვის" (ს/კ №202161098) სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში გადაცემის მიზნით, იმ პირობით, რომ №01.17.13.045.038 საკადასტრო ერთეულზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში, კომპანია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადასცემს: ქ.თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალში მდებარე №01.13.03.038.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 13039 კვმ. მიწის ნაკვეთს, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, ამ უძრავ ქონებაზე 2007 წლის 28 დეკემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის და იპოთეკის №8936/1

ხელშეკრულების თანხმად რეგისტრირებული იპოთეკისა და ვალდებულების გათვალისწინებით. ამასთან №01.13.03.038.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავი ნივთის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემამდე, კომპანიამ უზრუნველყოს უძრავ ქონებაზე არსებული იჯარის და ქვეიჯარის გაუქმება, ხოლო გადასაცემი და მისაღები უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, სხვაობის თანხა ჩარიცხოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში.".

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი